ავტობიოგრაფია

ნოდარ პაპუკაშვილმა 1998 წელს წარჩინებით დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, სამართალმცოდნეობის სპეციალობით, ხოლო 2001 წელს ამავე უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტი სპეციალობით „აღრიცხვა, კონტროლი, აუდიტი". 1999-2002 წლებში სწავლობდა თსუ იურიდიული ფაკულტეტის სამართლის თეორიისა და კონსტიტუციური სამართლის კათედრის ასპირანტურაში. 2005 წელს დაიცვა დისერტაცია და მოიპოვა იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი, რომელიც უთანაბრდება სამართლის დოქტორის აკადემიურ ხარისხს.

1998 წლიდან დღემდე ნოდარ პაპუკაშვილი ეწევა აქტიურ პრაქტიკულ და სამეცნიერო საქმიანობას, მათ შორის, მუშაობდა საქართველოს პარლამენტის სპეციალისტად, წამყვან სპეციალისტად, საპარლამენტო ფრაქციის აპარატის უფროსად, ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრად, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მთავარ სპეციალისტად, სამმართველოს უფროსად, დეპარტამენტის უფროსის მოადგილედ, ს/ს „პრივატბანკი"-ს იურიდიული დეპარტამენტის უფროსად, სსიპ „განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი"-ს დირექტორის მრჩევლად. მრავალი წლის განმავლობაში იკავებდა თბილისი ღია უნივერსიტეტის რექტორისა და აკადემიური საბჭოს თავმჯდომარის თანამდებობას. არის გადაახდისუუნარობის მმართველი კომპანიის შპს „ბიზნეს ქეარ კორპორეიშენ"-ის დამფუძნებელი და დირექტორი, რომელიც აქტიურად ახორციელებს ბიზნესის მართვისა და რეაბილიტაციის პროექტებს.

ამჟამად, საქმიანობას განაგრძობს თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილისა და სრული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე. ნოდარ პაპუკაშვილი სხვადასხვა პერიოდში კითხულობდა ლექციებს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტსა და გურამ თავართქილაძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტში. არის 1 მონოგრაფიისა და 1 სახელმძღვანელოს თანაავტორი, ხოლო დამატებით გამოქვეყნებული აქვს 14 სამეცნიერო სტატია. მისი კვლევის სფეროებია: შედარებითი კონსტიტუციური სამართალი, საქართველოს კონსტიტუციური სამართალი, ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები, მუნიციპალური სამართალი, საკონსტიტუციო სამართალწარმოება.

არის უპარტიო, ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.